სამედიცინო ასოციაცია „თანა“

MEDICAL ASSOTIATION “TANA”

საქართველო. ბათუმი. სათნოების I ჩიხი N5
ცენტრი „თანა“
ტელ.:(+995)422 56677
მობ.:(+995)599586988
ელ.ფოსტა: tanabatumi@gmail.com

5. SATNOEBA STREET.BATUMI.GEORGIA
Rehabilitation Center„TANA”
ტელ.:(+995)422 566777
mob.:(+995)599586988
E-mail: tanabatumi@gmail.com

05 აგვისტო 2022წ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და
ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ სამედიცინო ასოციაცია „თანა“ს დღის ცენტრი დახმარებას უწევს 50-55 შშმ პირს. მათგან 25 ბენეფიციარი 18 წლამდეა და ფინანსდება საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს „შშმპ–თა დღის ცენტრებით მომსახურების” პროგრამით, ხოლო 30 ბენეფიციარი 18წლის ზემოთაა და იგი ფინანსდება ქ. ბათუმის მერიიდან „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია“ პროგრამით. ეს პროგრამები ითვალისწინებს ბავშვთა ტრანსპორტირებას: სახლი-ცენტრი-სახლი, ორჯერად კვებას, ბენეფიციართა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვას, სპეციალისტების დახმარებით მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ცენტრს გააჩნია 1 მიკროავტობუსი, რომელიც ადაპტირებული არ არის და რომელიც 2017 წელს შეგვიძინა თურქეთის ინტეგრაციისა და კოოპერაციის სააგენტომ(TIKA) მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი მუშაობს 2 ცვლაში, ძალიან გაძნელებულია ბენეფიციართა ტრანსპორტირება. დაფინანსების თანხები არ ითვალისწინებს ინვენტარის(და მით უფრო სატრანსპორტო საშუალებების) შეძენას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე წარვადგინეთ პროექტი გრანტის მისაღებად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ადაპტირებული მცირე ზომის ავტობუსის შეძენა, ეს კი არღვევს შშმპ-თა უფლებებს და ზრდის მათ იზოლაციას.

ბენეფიციართა ვაუჩერი ითვალისწინებს ტრანსპორტირების ორგანიზებას. ეს ნიშნავს რომ შესაძლებელია ბენეფიციარები სარგებლობდნენ საქალაქო ტრანსპორტით, რომელიც ამოიყვანდა მათ ცენტრის მიმდებარე ტერიტორიამდე, მაგრამ ასეთი ტრანსპორტის არარსებობის გამო ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურება ხდება ცენტრის მიკროავტობუსით.

ცენტრის მიკროავტობუსი მუშაობს მძიმე რეჟიმში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი მწყობრიდან გამოსვლა და ამ შემთხვევაში საშიშროება დაემუქრება პროგრამების განხორციელებას

აქედან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ საკითხი შშმპ-თა დღის ცენტრებისათვის(ბათუმში 2 დღის ცენტრია) ადაპტირებული, მცირე ზომის ავტობუსის შეძენის შესახებ

ვიმედოვნებთ, რომ აჭარის ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის მზადაა დაეხმაროს შშმ პირებს, ამჟამადაც პირველი იქნება ამ წინადადების შესრულებაში.

პატივისცემით :
ა(ა)იპ სამედიცინო ასოციაცია „თანა“ს
გამგ.თავ-რე - ნანა საყვარელიძე